

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/04. 08.02.2019

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

„განხილულია“

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ოქმი № 02-04-06/01. 02.02.2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლაშა ბერიძე

ასისტენტი: სონია ჩეჩელაშვილი

## პროგრამის აღწერილობა

**პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):**

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ფინანსების სფეროში ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელთაგან 75 კრედიტი განკუთვნილია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის, 15 კრედიტი ეთმობა არჩევით დისციპლინებს, 10 კრედიტი – პროფესიულ პრაქტიკას, 20 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომს.

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა

**სწავლების ენა:** ქართული

### პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

**ა) პროგრამის მიზნები:** სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესისა და ფინანსების მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფინანსების, საბანკო საქმის, ფულად-საკრედიტო სისტემის სფეროებში.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, გარდა თეორიული კურსებისა, მოიცავს სემინარებსა და ტრენინგს, პრეზენტაციებსა და ჯგუფურ მუშაობას, პროფესიულ პრაქტიკასა და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას, რის შედეგადაც მაგისტრს გაუადვილდება როგორც ფინანსების სფეროში არსებული თეორიული პრობლემების ანალიზი, ისე რეალურ ბიზნეს-სიტუაციებში გარკვევა და მათი მართვა.

**ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა, საერთო სამაგისტრო გამოცდა, გამოცდა სპეციალობასა და უცხო ენაში საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განსხვავებული წესი უცხოეთის მოქალაქეებისთვის.

**გ) სწავლის შედეგები:** ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, როგორც ლიდერი, ქმნის ფინანსების მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, აყალიბებს ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ კულტურას, სახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს გადასაჭრელად; შეუძლია საკუთარი და სხვისი მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი მაგალითით თანამშრომლების დადებითი ენერჯით დამუხტვა, დადებითი მიზნების მოტივირება და სტიმულირება; ფლობს სრულ ინფორმაციას და არის თავისუფალი

გადაწყვეტილების მიღებაში, ფსიქოლოგიურად არის მომზადებული სწრაფად ცვალებად გარემოში მუშაობისათვის; ორიენტირებულია პროცესზე, დინამიკურ და მოულოდნელ სიტუაციებში იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და მინიმუმამდე დაჰყავს განუსაზღვრელობის რისკი.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

| 1. ცოდნა და გაცნობიერება   |  |
|--|--|
| ზოგადი კომპეტენციები   | დარგობრივი კომპეტენციები   |
| <p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p> | <p><b>კურსდამთავრებულმა იცის:</b></p> <p>ფინანსური რესურსების მართვის საფუძვლები; ფინანსური სისტემის თავისებურებები და ფინანსური ბაზრების თეორია; რისკების მართვა; ფინანსური შუამავლები, როგორც ფინანსური სისტემის რგოლი; კაპიტალის ფასი და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო და მსოფლიო ფინანსები, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვა; ფინანსური მენეჯმენტის როლი ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის რეგულირება; ფინანსური ანგარიშგება, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალება; ფინანსების როლი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში.</p> <p>სავალუტო ბირჟების მუშაობის თავისებურებები და რისკების მართვა სადელინგო ოპერაციებში; საერთაშორისო ანგარიშსწორება საკრედიტო და სადებეტო ბარათების მეშვეობით; საერთაშორისო-სავალუტო ბაზრის მართვა; საერთაშორისო-სავალუტო ვაჭრობა და ანგარიშსწორება; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მეთოდები. საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორები საფინანსო კრიზისის ფონზე; მსოფლიოს წამყვანი საკრედიტო ბაზრების მუშაობის თავისებურებანი და ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარი; საბანკო რეგულირება, საერთაშორისო საბანკო ურთიერთობები და ინტეგრირება, მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები და საქართველო; მსოფლიო საფონდო ინდექსები და რეიტინგები.</p> <p>ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტის არსი და მისი ანალიზი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზი და შეფასება; ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზნები და მეთოდოლოგია; ბიზნეს-გეგმა და მისი როლი ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება.</p> <p>სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო დაწესებულებების დაფუძნებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი; საბანკო დაწესებულებების რეორგანიზაციის, შერწყმა/გაერთიანების, სანაციისა და ლიკვიდაციის პროცესების ზედამხედველობა-რეგულირების მექანიზმი; საბანკო საქმიანობაზე მოქმედი რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციისა და მართვის თანამედროვე სისტემა; სახელმწიფო-საფინანსო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების სპეციფიკა და რეგულირების უახლესი მეთოდები; საერთაშორისო საზედამხებველო მოთხოვნები, ნორმატივები, ლიმიტები და კოეფიციენტები.</p> <p>დაზღვევის თეორია და სადაზღვევო სისტემის ფორმირების და განვითარების მიმართულებები; რისკის არსი; რისკის მართვის ზოგადი პრინციპები; მზღვეველის ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა; გადაზღვევის ეკონომიკური არსი, როლი და ფუნქციები; დაზღვევის მიკრო და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა; სადაზღვევო მენეჯმენტი;</p> |

მზღვეველის მარკეტინგი; საქართველოს სადაზღვევო სისტემა, განვითარების პრობლემები, პერსპექტივები; სადაზღვევო სისტემის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი.

გადასახადების და დაბეგვრის თეორიული საფუძვლები; საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში; დაბეგვრის პრინციპები, პრაქტიკა და ინსტრუმენტები; საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სისტემების ფუნქციონირების საფუძვლები; დაბეგვრის გავლენა ფირმების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე; გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ვალდებულებანი და პასუხისმგებლობები.

კორპორაციული მართვის პრინციპები საბანკო დაწესებულებებში; შიდა კორპორაციული დოკუმენტები; კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა და ფუნქციების გამიჯვნა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის კომერციულ ბანკში; დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი და მისი ფუნქციები ბანკში; კორპორაციული მდივნის როლი და უფლებამოსილებები ბანკში; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები საბანკო დაწესებულებაში; ინფორმაციის გახსნილობის და გამჭვირვალობის მნიშვნელობა ბანკებში.

თანამედროვე საბანკო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენის, ანალიზისა და შეფასების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმი; ბანკების საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების სისტემური აღწერა; თანამედროვე ეპოქაში ფასიანი ქაღალდების მიმართ წაყენებული ფუნდამენტური მოთხოვნების ფორმულირება; ფასიანი ქაღალდების განთავსების წესების აღწერა; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტების დეტალური დახასიათება; ფულადი ბაზრის, მათი განვითარების კანონზომიერების ჩამოყალიბება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შესწავლა; საფინანსო შუამავლების ტიპებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვისა და ზედამხედველობის სისტემების აღწერა.

**2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

ფინანსური სისტემის თავისებურებების გამოვლენა და დახასიათება; ფულადი საშუალებების განაწილება და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების გამოვლენა და შეფასება; კაპიტალის ფასის განსაზღვრა და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსების, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის დახასიათება და მისი მართვა; ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფინანსური მექანიზმების გამოყენება; ფინანსური ინფრასტრუქტურის დახასიათება და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მონაწილეობა.

საბანკო-სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების გამოყენება; საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მუშაობა ელექტრონული არხებით; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მოდელის დახასიათება.

ბიზნეს-გეგმის როლის აღწერა ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; რეგულირების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით კომერციული ბანკის ფუნქციონირების ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.

სადაზღვევო რისკების გონივრული მართვა; თეორიული კონცეფციების

ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

|   |  |
|---|--|
|   | <p>პროფესიულ საქმიანობაში გადატანა; საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა და მათ ფორმირებაში გადასახადების როლის შეფასება; გადასახადების (დაბეგვრის) ძირითადი ელემენტების დახასიათება; საბაჟო პროცედურების განხორციელება; გადასახადების დაგეგმვის პრაქტიკული განხორციელება; საგადასახადო და საბაჟო ანგარიშგების ფორმების, საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციების მომზადება; საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და მისი ოპტიმიზაცია.</p> <p>კომერციული ბანკის დამოუკიდებელი დირექტორის, კორპორაციული მდივნის ფუნქციების პრაქტიკაში გამოყენება; კომერციული ბანკის კორპორაციული მართვის ოპტიმალური და ეფექტური მექანიზმის შემუშავება.</p> <p>საბანკო მენეჯმენტში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბება და ბანკის საქმიანობის ოპტიმალური დამაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგება.</p> <p>ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზი და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება; ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდების შერჩევა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შეფასება; ფინანსური ბაზრის ცალკეული სეგმენტის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.</p> |
| <p><b>3. დასკვნის უნარი</b></p>   |  |
| <p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>   | <p><b>კურსდამთავრებულს აქვს:</b></p> <p>ფინანსების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი;</p> <p>საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტებისა და კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა კვლევისა და შედეგთა განზოგადების უნარი;</p> <p>ინვესტიციური პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების კვალიფიკაციური ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარი;</p> <p>ფინანსების სფეროში არსებული პრობლემატიკისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.</p>   |
| <p><b>4. კომუნიკაციის უნარი</b></p>   |  |
| <p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p> | <p><b>კურსდამთავრებულს აქვს:</b></p> <p>რეფერატული სახის ნაშრომის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და მისი პრეზენტაციის უნარი;</p> <p>ფინანსების სფეროში საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბების, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან მათი წარდგენის უნარი როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;</p> <p>დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენის უნარი;</p> <p>იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისათვის უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</p> <p>უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების</p>  |

|   |   |
|---|---|
|   | მოძიების, გაგებისა და გადმოცემის უნარი;   |
| <b>5. სწავლის უნარი</b>   |   |
| სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. | <b>კურსდამთავრებულს აქვს:</b><br>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;<br>სწავლის პროცესის სპეციფიკის გააზრების და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;<br>ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;<br>ცოდნის რეგულარულად განახლების უნარი დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.  |
| <b>6. ღირებულებები</b>  |   |
| ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.     | <b>კურსდამთავრებულს აქვს:</b><br>ფინანსებისა და ზოგადად ბიზნესის სფეროში არსებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;<br>ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;<br>ბიზნესის ეთიკური ნორმების პატივისცემა და მათი დაცვის უნარი;<br>პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა. |

**დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სწავლების პროცესში გამოყენებულია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკულის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

**ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:** ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (მიმდინარე აქტივობები, განმავითარებელი და დასკვნითი შეფასებები). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. მათ შორის დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა; სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებში აქვთ 11 ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია, როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით – სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

**ვ) დასაქმების სფეროები:** ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში, წარმატებით გაუძღვეს პროფესიული სწავლების ჯგუფებს როგორც ზოგად სავალდებულო, ისე სავალდებულო პროფესიული დისციპლინების სწავლებას.

ფინანსების მაგისტრს შეუძლია იმუშაოს ეროვნული მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო-საგადასახადო-სადაზღვევო სისტემის ყველა რგოლში, სახელმწიფო-კომერციულ და კერძო-კომერციულ ბანკში, შემოსავლების სამსახურში, დაზღვევისა და საბაჟო სფეროს ორგანიზაციებში და ამასთანავე, სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა დოქტურანტურაში. კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მაღალი დონის სამენეჯერო პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, საკონსულტაციო ფირმებში, ერთობლივ საწარმოებში და ა.შ.

ფინანსების მაგისტრს უნარი შესწევს მიიღოს მონაწილეობა და მოახდინოს ქვეყნისა და საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზება, უზრუნველყოს ბიზნესის ეფექტიანი წარმართვა, საქართველოს საწარმოთა მსოფლიო ბაზარზე გასვლის ფინანსური სტიმულირების მექანიზმის შემუშავება.

**ზ) სწავლის გაგრძელების საშუალება:** კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ფინანსების, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

**თ) პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** პროგრამა ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. კერძოდ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), კომპიუტერული რესურს-ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზი.

**ი) პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსები:** პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები, რომელთაც აქვთ ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

სასწავლო გეგმა - სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები“

| N                               | სახელწოდება   | სტატუსი და კრედიტი | საათები |        |              |                       | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით |    |     |    | ლექტორი სტატუსი, სახელი, გვარი  |
|---------------------------------|---|--------------------|---------|--------|--------------|-----------------------|--|----|-----|----|---------------------------------|
|                                 |   |                    | სულ     | ლექცია | ჯგუფ მუშაობა | დამოუკიდებელი მუშაობა | I  | II | III | IV |                                 |
| სპეციალობის სავალდებულო კურსები |   | 70                 |         |        |              |                       |  |    |     |    |                                 |
| 1.                              | სახელმწიფო ფინანსები  | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | მოწვ. ლექტორი რამინ ცინარიძე    |
| 2.                              | ბიზნეს ინგლისური  | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | მოწვეული ლექტ. თამილა ჩურკვეიძე |
| 3.                              | მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები                            | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | პროფ. ედუარდ მიქელაძე           |
| 4.                              | საგადასახადო სისტემები უცხოეთის ქვეყნებში                   | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | პროფ. სულიკო ფუტკარაძე          |
| 5.                              | საბანკო მენეჯმენტი და მარკეტინგი                            | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | პროფ. ლია ბერიძე                |
| 6.                              | რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებში და მათემატიკური მოდელირება | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    | 5  |    |     |    | ასოც. პროფ. გივი ჭუმბურიძე      |
| 7.                              | ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა                         | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    |  | 5  |     |    | მოწვ. ლექტ. გიორგი აბუსერიძე    |
| 8.                              | დაზღვევა და რისკების მართვა                                 | 10                 | 250     | 30     | 30           | 190                   |  | 10 |     |    | მოწვ. ლექტ. ასიე ცინცაძე        |
| 9.                              | ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი ბასს-ით                    | 10                 | 250     | 30     | 30           | 190                   |  | 10 |     |    | ასისტენტი. სონია ჩეჩელაშვილი    |
| 10                              | ფინანსური მენეჯმენტი  | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    |  |    | 5   |    | ასისტენტი სონია ჩეჩელაშვილი     |
| 11                              | საერთაშორისო საკრედიტო, სავალუტო და საფინანსო ურთიერთობები  | 10                 | 250     | 30     | 30           | 190                   |  |    | 10  |    | ასოც. პროფესორი ლაშა ბერიძე     |
| 12                              | საბანკო სისტემის საერთაშორისო რეგულირება                    | 5                  | 125     | 15     | 15           | 95                    |  |    | 5   |    | პროფ. ლია ბერიძე                |



|            |   |            |             |            |            |             |           |           |           |           |  |
|------------|---|------------|-------------|------------|------------|-------------|-----------|-----------|-----------|-----------|--|
| <b>13</b>  | <b>არჩევითი I</b>                           | <b>5</b>   | <b>125</b>  | <b>15</b>  | <b>15</b>  | <b>95</b>   |           | <b>5</b>  |           |           |  |
| ა          | საბიუჯეტო სისტემის კონცეპტუალური საფუძვლები |            |             |            |            |             |           |           |           |           | მოწვ. ლექტ. გიორგი აბუსერიძე                             |
| ბ          | საერთაშორისო მარკეტინგი                     |            |             |            |            |             |           |           |           |           | ასოცირ. პროფ. ლელა ჯახაია                                |
| გ          | გლობალიზაცია და საინვესტიციო პოლიტიკა       |            |             |            |            |             |           |           |           |           | პროფ. ედუარდ მიქელაძე                                    |
| <b>14</b>  | <b>არჩევითი II</b>                          | <b>5</b>   | <b>125</b>  | <b>15</b>  | <b>15</b>  | <b>95</b>   |           |           | <b>5</b>  |           |  |
| ა          | კორპორაციათა ფინანსები                      |            |             |            |            |             |           |           |           |           | ასისტენტი ჰამლეტ სანიკიძე                                |
| ბ          | საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა |            |             |            |            |             |           |           |           |           | მოწვ. ლექტ. რამინ ცინარიძე                               |
| გ          | საინვესტიციო პროექტების მართვა              |            |             |            |            |             |           |           |           |           | პროფ. ედუარდ მიქელაძე                                    |
| <b>15</b>  | <b>არჩევითი III</b>                         | <b>5</b>   | <b>125</b>  | <b>15</b>  | <b>15</b>  | <b>95</b>   |           |           |           | <b>5</b>  |  |
| ა          | მმართველობითი აღრიცხვა                      |            |             |            |            |             |           |           |           |           | ასისტენტი სონია ჩეჩელაშვილი                              |
| ბ          | ფინანსური სისტემის რეგულირება               |            |             |            |            |             |           |           |           |           | მოწვ. ლექტ. რამინ ცინარიძე                               |
| გ          | ფასიანი ქაღალდები და გლობალური გარემო       |            |             |            |            |             |           |           |           |           | მოწვ. ლექტორი რამინ ცინარიძე                             |
| <b>16.</b> | <b>სამაგისტრო ნაშრომი</b>                   | <b>20</b>  | <b>500</b>  |            |            | <b>500</b>  |           |           | <b>5</b>  | <b>15</b> |  |
| <b>17.</b> | <b>პროფესიული პრაქტიკა</b>                  | <b>10</b>  | <b>250</b>  |            |            | <b>250</b>  |           |           |           | <b>10</b> | მოწვ. ლექტორი რამინ ცინარიძე ასისტენტი სონია ჩეჩელაშვილი |
|            | <b>სულ</b>                                  | <b>120</b> | <b>3000</b> | <b>270</b> | <b>270</b> | <b>2460</b> | <b>30</b> | <b>30</b> | <b>30</b> | <b>30</b> |  |



|    |                      |  |   |   |   |   |   |   |
|----|----------------------|--|---|---|---|---|---|---|
| 3. | –                    | გლობალიზაცია და<br>საინვესტიციო პოლიტიკა           | X | X | X | X | X | X |
| 4. | –                    | კორპორაციათა ფინანსები                             | X | X | X | X | X | X |
| 5. | სახელმწიფო ფინანსები | საქართველოს<br>საბიუჯეტო– საგადასახადო<br>პოლიტიკა | X | X | X | X | X | X |
| 6. | –                    | საინვესტიციო პროექტების<br>მართვა                  | X | X | X | X | X | X |
| 7. | –                    | მმართველობითი აღრიცხვა                             | X | X | X | X | X | X |
| 8. | სახელმწიფო ფინანსები | ფინანსური სისტემის<br>რეგულირება                   | X | X | X | X | X | X |
| 9. | –                    | ფასიანი ქაღალდები და<br>გლობალური გარემო           | X | X | X | X | X | X |

### 1. პროგრამის ადამიანური რესურსი

1. ედვარდ მიქელაძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
2. ლია ბერიძე - ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
3. სონია ჩეჩელაშვილი - ეკონომიკის დოქტორანტი, ასისტენტი
4. ლელა ჯაზაია - ეკონომიკის დოქტორანტი, ასოცირებული პროფესორი
5. ჰამლეთ სანიკიძე - ეკონომიკის დოქტორანტი, ასისტენტი
6. გივი ჭუმბურიძე - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
7. სულიკო ფუტყარაძე - ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
8. ასიე ცინცაძე - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
9. რამინ ცინარიძე - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
10. გიორგი აბუსერიძე - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი
11. ლაშა ბერიძე - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
12. თამილა ჩურკვეიძე- ინგლისური ენის მასწავლებელი. ასოცირებული პროფესორი